მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების დოკუმენტი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

(LDA Georgia)

2021 წელი



კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს გრანტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ,,გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის'' მხარდაჭერით

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მადლობას უხდის კვლევაში მონაწილეებს - ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, თემის წარმომადგენლებსა და მომსახურების მიმღებ პირებს, ანალიზისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოგროვების პროცესში გაწეული დახმარებისა და კვლევაში ჩართულობისათვის.

მკვლევარი: ნანა გოგოხია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაციის ,,თანხმობა'' იურისტი (IDP Women Association ''Consent'').

წარმოდგენილი კვლევა შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), დანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით. მის შინაარსში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ზემოთ ჩამოთვლილი საერთაშორისო ორგანიზაციების მოსაზრებებს.

სარჩევი

1. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია 4

1.1 კვლევის საფუძველი 4

1.2. კვლევის მეთოდი და მონაწილეთა შერჩევა 4-5

1.3. ჯგუფური დისკუსიები და მონაცემების შეგროვება 5

2. შესავალი 6-7

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები.....8

3.1. ეკონომიკური განვითარება.....8-9

3.2. სოციალურ-ეკონომიკური პროფილი.....10

3.3. ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა.....10-12

3.4. განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა 12-13

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები.....13-14

4. რეკომენდაციები.....15

5. საბიუჯეტო პროგრამა.....16-17

6. დანართი.....18

სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი.....18-19

1.კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

1.1 კვლევის საფუძველი

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს პროექტის „მოქალაქეთა ჩართულობის ხარისხის ზრდა ადგილობრივ თვითმმართველობაში“ ფარგლებში ტყიბულის მუნიციპალიტეტში , 2021 წლის აპრილის თვეში ჩატარდა საჭიროებების კვლევა , რომლის საფუძველზეც შეიქმნა წარმოდგენილი საჭიროებების დოკუმენტი, სადაც ერთის მხრივ საუბარია მოსახლეობის საჭიროებებზე და მეორეს მხრივ COVID 19-ის შემდგომ გამოწვევებზე.

კვლევა უზრუნველყოფს, მოსახლეობის თვალით დანახული ადგილობრივი პრობლემების გამოვლენა-შესწავლას. მათ მიერ ადგილობრივი საჭიროებების ხედვას, მათ პრიორიტეტებსა და მოლოდინებს ადგილობრივ განვითარებასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას ადგილობრივ დონეზე სტრატეგიული/პრიორიტეტული მიმართულების დაგეგმვისა და ღონისძიებების განხორციელების პროცესში.

კვლევის შინაარსი შეიძლება სრულად არ მოიცავდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებებს და არ ასახავდეს სრულ სურათს.

ასევე წარმოდგენილი რეკომენდაციები არ შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც დონორის აზრი და ის გამომდინარეობს მხოლოდ ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას მიღებული ინფორმაციიდან.

1.2 კვლევის მეთოდი და მონაწილეების შერჩევა

კვლევის კონცეფცია, სადისკუსიო თემები და კითხვები შემუშავდება იმერეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის თემატური ჩარჩოს საფუძველზე.

საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე ჩატარდა თვისებრივი კვლევა, ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით. ასევე, შესწავლილ იქნა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამები, მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, მერის 2020 წ. განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

ფოკუს ჯგუფებისთვის მონაწილეები შეირჩნენ მიზნობრივად, წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით.

შესწავლის მიზნებისთვის რელევანტურ და საინტერესო ჯგუფებად გამოიყო შემდეგი: ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლები; თემის ფორმალური და არაფორმალური ლიდერები; მოწყვლადი სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში სულ ჩატარდა: 2 (ორი) ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- **ადგილობრივი თვითმმართველობიდან** : მერიის სოციალური სამსახურის, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური კომისიის წარმომადგენლები, ასევე მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში;
- რესურსცენტრის წარმომადგენელი;
- ტყიბულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების წარმომადგენელი;

- ადგილობრივი მაცხოვრებლები სხვადასხვა მოწყვლადობის გათვალისწინებით. (მრავალშვილიანი , სოციალურად დაუცველი, , მარტოხელა მშობელი, დევნილი.)
- ადგილობრივი არასამთავრობოს წარმომადგენლები;
- ადგილობრივი მეწარმე.

ფოკუს ჯგუფებში სულ მონაწილეობა მიიღო ცამეტმა (13) რესპოდენტმა, რომელთა შორის ცხრა (9) მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო. მონაწილეთა საშუალო ასაკი 24 წლიდან 77 წლამდე მერყეობდა.
ფოკუს ჯგუფების მონაწილეობა ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართულობას და გენდერული ბალანსის დაცვას.

1.3 ჯგუფური დიკუსია და ინფორმაციის დამუშავება

ჯგუფური დისკუსია ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც შედგებოდა ღია კითხვებისგან. იგი შედგებოდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ფარგლებში ჩამოყალიბებული თემებისა და ქვეპუნქტებისგან და მოიცავდა შემდეგ თემებს:

- სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეკონომიკური განვითარება;
- ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა;
- ძირითადი სერვისები და პროგრამები ტყიბულის მუნიციპალიტეტში;
- Covid -19 - ით გამოწვეული ახალი საჭიროებები;

ფოკუს ჯგუფებს ჰქონდათ სრული თავისუფლება, შეერჩიათ სადისკუსიო თემები, რომლებიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი საზოგადოებისთვის, განხილული პრიორიტეტებისა და გადაუდებელი აუცილებლობის თვალსაზრისით.

ინტერვიუს დასაწყისში თითოეულ რესპოდენტს ეთხოვა თავის წარდგენა და მათი კომპეტენციისა და საქმიანობის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებების გაცნობა თემისა და ზოგადად, მუნიციპალიტეტის პრობლემებსა და საჭიროებებზე. შესავალი პროცესის დასრულების შემდეგ, ინტერვიუერმა ხელი შეუწყო ჯგუფში დისკუსიის დაწყებას თემების, ადგილობრივი ცხოვრების შესახებ.

ინტერვიუერის მიერ ფოკუს ჯგუფის დისკუსიები ჩაიწერა ხმის ჩამწერზე, ხოლო თვალსაჩინოებისთვის ძირითადი საკითხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა საწერი დაფა. ინტერვიუს მონაწილეთა დასწრება დაფიქსირდა დამსწრეთა სიაში, რომელშიც აღინიშნა დამსწრეთა სრული სახელი, მისამართი, დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია და ხელმოწერა. მიღებული ინფორმაცია დამუშავდა კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით და ინახება ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) ოფისში.

2.შესავალი(ზოგადი მიმოხილვა)

ფოკუს ჯგუფების დისკუსიები მიზნად ისახავდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საზოგადოების საჭიროებებისა და პრობლემების გარკვევას/ დადგენას. დისკუსიების მსვლელობისას, მონაწილეებისათვის შეთავაზებული სადისკუსიო სფეროების ფარგლებში ყველაზე მეტად განხილულ იქნა ისეთი სკითხები, როგორიცაა : სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, ეკონომიკური განვითარების პროგრამები, ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება და პროდუქციის რეალიზაცია, მიგრაცია და დასაქმება, ინფრასტრუქტურული საკითხები, განათლების ხელმისაწვდომობა, სპორტულ/კულტურული აქტივობები, სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმები, ჯანდაცვის პროგრამები და სოციალური სერვისები, მოქალაქეთა ინფორმირებულობა, Covid -19 -გან გამოწვეული ახალი საჭიროებები.

დისკუსიებმა ანახა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მიერ ბოლო წლებში განხორციელებული არაერთი წინგადადგმული ნაბიჯისა, კვლავ რჩება სხვადასხვა მიმართულებით გამოწვევები, რომელთა გადაჭრამაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარება და კეთილსაიმედო გარემოს შექმნა. მრავალფეროვანი გახადოს მუნიციპალური პროგრამები, ხელი შეუწყოს განვითარებაზე ორიენტირებული, გრძელვადიანი და მდგრადი სოციალური სერვისების შექმნას, რომელიც მოწყვლად ადამიანებს გააძლიერებს და თვითკმარს გახდის.

ეკონომიკური განვითარების მეტად ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში შეიქმნას ერთობლივი საკომუნიკაციო პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ბიზნეს სექტორი, თუ სხვა დაინტერესებული სუბიექტები შეძლებენ ერთმანეთთან კომუნიკაციას ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალურ- ეკონომიკური განვითარების საკითხებზე, შეიმუშაონ და წარადგინონ რეკომენდაციები იმ ეკონომიკური განვითარების პროგრამების განსაახლებლად, რომელიც სახელმწიფოს მიერ ხორციელდება, რაც აღნიშნულ პროგრამებს კონკრეტულ რეგიონზე , მუნიციპალიტეტზე უფრო მეტად მორგებულს გახდის.

წლების მანძილზე ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის ქვანახშირის მოპოვება/გადამუშავება ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს, რაც მუნიციპალიტეტს ერთ კონკრეტულ ეკონომიკურ აქტორზე დამოკიდებულს ხდის. მუნიციპალიტეტის მეტად განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარებას, რისი პოტენციალიც ადგილზე ნამდვილად არსებობს.

ახალი კორონა ვირუსის გავრცელებამ, ტყიბულის მუნიციპალიტეტი, მსგავსად სხვა მუნიციპალიტეტებისა ახალი, გაუთვალისწინებელი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეფერხდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, მცირედით დროში გადაიწია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამ, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებსაც შეუმცირდათ შემოსავალი , მოწყვლადი ოჯახები კი უფრო მეტი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი თავისი კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში დახმარებას უწევდა ადგილობრივ მოსახლეობას. აწვდიდა სასურსათო კალათებს, შეზღუდვების პერიოდში ეხმარებოდა გადაადგილებაში. ადგილობრივი ადამიანური რესურსებით ახერხებდა მოსახლეობისთვის ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების მიწოდებას. უზრუნველყოფდა მოქალაქეების ინფორმირებულობას როგორც კოვიდ-19-გან დაცვის მექანიზმების, ასევე დაწესებული შეზღუდვებისა და რეგულაციების შესახებ.

პანდემიამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებზე ზრუნვის აუცილებლობა. დაწესებულმა შეზღუდვებმა, გაზრდილმა ფასებმა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ მოწყვლადი მოსახლეობა კიდევ უფრო მეტად გახადა დამოკიდებული სახელწმიფო დახმარებებზე. დამძიმებულმა სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ კი გაზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების რაოდენობა. [1] *ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა შეძლოს და მოახდინოს სერვისების ახალ საჭიროებებზე მორგება, ასევე სერვისებს მიღმა დარჩენილი მოქალაქეების იდენტიფიცირება და მათ საჭიროებებზე რეაგირება.*

მომდევნო თავებში დეტალურად იქნება გადმოცემული ის მოსაზრებები, რომელიც ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოიკვეთა როგორც გამოწვევები, და ასევე რაც მუნიციპალიტეტის დოკუმენტების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი. დანართის სახით წარმოდგენილია ფოკუს ჯგუფების განხორციელების ინსტრუმენტები.

ანგარიშში მოცემული გამოწვევები არ წარმოადგენს მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციისთვის განკუთვნილ საკითხებს, და მათი გადაჭრა/ მოგვარება შესაძლოა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებისა თუ საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით იყოს შესაძლებელი.

[1] სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ვებ გვერდი http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=1476

3. განხილული საკითხები და გამოვლენილი საჭიროებები

3.1 ეკონომიკური განვითარება: ტყიბულის მუნიციპალიტეტს შემუშავებული აქვს როგორც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა, ასევე 2020-2023 წწ. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, რომლებზე დაყრდნობითაც ცალსახად შეიძლება აღინიშნოს, რომ გარდა სამთო წარმოების განვითარებისა, მუნიციპალიტეტი სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების, მათ შორის სოფლის მეურნეობის მიმართულებების გაძლიერებას.

სოფლის მეურნეობა : ტყიბულის მუნიციპალიტეტში მთიანი რელიეფის გამო ნაკლებადაა ისეთი მიწის ფართობები, რომელთა დამუშავება შესაძლებელია. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ტყიბული მცირემიწიანი ადგილია, მიწის უდიდესი ნაწილი ტყითაა დაფარული. გეოგრაფიული მდებარეობისა და შედარებით მკაცრი კლიმატური პირობების გამო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები ნაკლებადაა განვითარებული. მოსახლეობა მევენახეობას, მარცვლოვანი და კენკროვანი კულტურების მოყვანას ძირითადად დაბალი ზონის სოფლებში ახერხებს.

ტყიბულში მეფუტკრეობის განვითარებისთვის ხელშემწყობი კლიმატური პირობებია შექმნილი. მოსახლეობა მისდევს მეფუტკრეობას და აქტიურად აწარმოებს თაფლს, თუმცა როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში , ტყიბულშიც გამოწვევას თაფლის ბითუმად რეალიზაცია წარმოადგენს. მეფუტკრეები მაღალი ფასის გამო ვერ ახერხებენ თაფლის ხარისხის განმსაზღვრელი სერთიფიცირების გავლას, რაც თაფლის სარეალიზაციოდ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ბოლო პერიოდში შესამჩნევი გახდა ფუტკრის რაოდენობის შემცირებაც, გამომწვევი მიზეზი ადგილობრივებისთვის უცნობია, თუმცა მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია ადგილზე ხელმისაწვდომი იყოს ვეტერინარის კვალიფიციური კადრი, რომელიც მეფუტკრეებს დროულ კონსულტაციას გაუწევდა ფუტკრის მოვლისა და ეკოლოგიურად სუფთა თაფლის წარმოების კუთხით.

მოსახლეობის ნაწილი მეცხოველეობას, მეფრინველეობას მისდევს, თუმცა გამოწვევას ადგილობრივი დაბალ პროდუქტიული ჯიშის საქონლის ყოლა წარმოადგენს, რომელთა წველადობა ნაკლებია და შესაბამისად ეკონომიკური სარგებელი მოსახლეობისთვის ნაკლებად მოაქვს.

ტყიბული ოდითგანვე ცნობილი იყო ადგილობრივი ჩაის წარმოებით, თუმცა დღეს არსებული ჩაის პლანტაციები დეგრადირებულია (გარდა მცირედი ნაწილისა) და ამ მიმართულების ხელახლა აღორძინებისთვის, მნიშვნელოვანია მათი სათანადო მოვლა და განახლება, ისევე როგორც აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ტყიბულში აუცილებელია სოფლის მეურნეობის დარგების განვითარების ხელშეწყობა, რათა გადარჩეს მუნიციპალიტეტი და არ დაიცალოს მოსახლეობისაგან. ამისათვის კი მუნიციპალიტეტის მაცხოვრებლებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ტყიბულის საჭიროებებს მორგებული ეკონომიკური განვითარების პროგრამები.

ფოკუს ჯგუფების დისკუსიების მიმდინარეობისას, მონაწილეების მხრიდან აღინიშნა, რომ ტყიბულში მოსახლეობას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ პროგრამებში, როგორიცაა დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში. დანერგე მომავლის ფარგლებში ძირითადად მოცვის პლანტაციების გაშენება ხდება. მონაწილეებმა აღნიშნეს საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ეკონომიკური განვითარების პროგრამების შესახებაც.

დისკუსიებისას აღინიშნა, რომ აუცილებელია ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისას პროგრამების პირობების მეტად მორგება ადგილობრივ საჭიროებებს და გარემოებებს. გამოიკვეთა პროექტის განმხორციელებლების მხრიდან ბენეფიციარებისთვის უკუკავშირის გაზიარების აუცილებლობა, თუ რატომ ვერ მოხერხდა მათი ბიზნეს განაცხადის დაკმაყოფილება, რაც მონაწილეს მისცემს შესაძლებლობას მომდევნო ჯერზე გაითვალისწინოს და გააუმჯობესოს წარდგენილი ბიზნეს განაცხადი. გამოწვევად დასახელდა მოსახლეობაში სამეწარმეო უნარების შესახებ ნაკლები ცნობიერება, ასევე პროექტებში მონაწილეობისთვის არსებული თანადაფინანსება.

ადგილობრივი ბიზნესი, წარმოება/გადამუშავება და ბაზარზე წვდომა : ტყიბულში ძირითადად მცირე მეწარმეები არიან წარმოდგენილი სასურსათო მაღაზიების სახით. ასევე, გვხვდება ქვანახშირის მომპოვებელი შახტები, სადაც ყველაზე მეტი ადგილობრივია დასაქმებული. მუნიციპალიტეტში არის ტეშენიტის გადამამუშავებელი რამდენიმე მცირე საწარმო. დღემდე შემორჩენილია გიშრის მოპოვება და დამუშავება, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით და ისიც კერძო პირების მიერ. ამ ეტაპისთვის გიშრის წარმოების წახალისება არ ხდება. ტყიბულის მაცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია ხელი შეეწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ადგილზე, რომ ტყიბული არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ქვანახშირის წარმოებაზე, რომლის მარაგიც ამოწურვადია.

მიუხედავად იმისა, რომ ,,დანერგე მომავლი''-ს ფარგლებში გაშენდა მოცვისა და ჟოლოს პლანტაციები, ასევე, ადგილზე არსებობს ხილის მოსავალი, არ არის წარმოდგენილი და სათანადოდ განვითარებული სამაცივრე და შემნახველი მეურნეობა, რაც აღნიშნული მიმართულებების განსავითარებლად უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ჰიდრორესურსებით. მდინარე შაორზე აშენებულია კაშხალი, რომელიც ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

მოსახლეობისთვის მოყვანილი მოსავლის სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომია ადგილობრივი და ქუთაისის ადგილობრივი ბაზარი. ერთადერთი რისი გატანაც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხდება არის ქვანახშირი.

ტურიზმი და რეკრეაცია: როგორც დისკუსიების მონაწილეებმა აღნიშნეს, ტყიბულს ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, რადგან ადგილზე არაერთი ცნობილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი მდებარეობს, ასევე ის ქუთაისსა და რაჭას შორის მდებარე მუნიციპალიტეტია და შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გზები, გარე განათება) განვითარების შემთხვევაში ტყიბული შეიძლება ტურისტებისთვის უფრო მიმზიდველი გახდეს. შესაძლებელია ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება (მაგ, სოფელ საწირეში ექსტერმალური ტურიზმის განვითარება).

დღეისათვის კი ნაკლები მოთხოვნიდან გამომდინარე, ადგილზე არ არსებობს სასტუმრო. საოჯახო ტიპის სასტუმროები გახსნილია გელათსა და მოწამეთას მიმდებარედ, თუმცა პანდემიამ მათი მუშაობა შეაფერხა.

როგორც ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, ტყიბულში ნაკლებადაა წარმოდგენილი ტურისტებისთვის მიმზიდველი რეკრეაციული და გასართობი ადგილები. არ არის საზოგადოებრივი საპირფარეშოები (სველი წერტილები). შესამჩნევია კვალიფიციური კადრების დეფიციტი ტურიზმთან და სტუმარ-მასპინძლობასთან დაკავშირებული მომსახურების ყველა სფეროში.

3.2 სოციალურ-ეკონომიკური პროფილი: ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა შეფასებით ტყიბულში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმეა. პანდემიამ ეს მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა და მოწყვლადი ოჯახები კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახადა სახელმწიფო დახმარებაზე.

პანდემიის პერიოდში მუნიციპალიტეტი სასურსათო კალათებს აწვდიდა ყველაზე გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რათა შეემცირებინა საკვებ პროდუქტებზე ხელმიუწვდომლობა. თუმცა, მსგავსი საჭიროება მოსახლეობაში დღესაც არსებობს.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის უმეტესობა სოფლად მაცხოვრებელია. [2](დაახლოებით 51%) , სოფლად მცხოვრები მოსახლეობის არც თუ ისე მცირე ნაწილი კი შუახნის ასაკს გადაცილებული. დემოგრაფიული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და შობადობის წასახალისებლად, მუნიციპალიტეტს აქვს ახალშობილთა ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, თუმცა რამდენად უწყობს ხელს აღნიშნული პროგრამა მიზნის მიღწევას უცნობია.

შრომის ბაზარი , უმუშევრობა და მიგრაცია: ტყიბულში ერთადერთი მსხვილი დასაქმების კერა ქვანახშირის მაღაროა. მოქალაქეების დასაქმების ადგილია ასევე საბიუჯეტო ორგანიზაციები, სკოლები და საბავშვო ბაღები. რესპოდენტების თქმით, ახალი სამუშაო ადგილები ნაკლებად იქმნება. თუმცა, მეორეს მხრივ თავად მოსახლეობაშიც ნაკლებია სათანადო კვალიფიკაციის ქონა. *,,მახსოვს ელექტროშემდუღებლების საჭიროება იდგა, მაგრამ შესაბამისი კადრების პოვნა ადგილზე ვერ მოხერხდა",* აღნიშნა ერთერთმა მონაწილემ. რესპოდენტების თქმით დაბალია ადგილზე, კერძო სექტორში დაქირავებულთა შრომითი ანაზღაურება, რის გამოც მოსახლეობა უარს ამბობს სამუშაოს შესრულებაზე. *„ადამიანს რომ ღირსეული ანაზღაურება ექნება ის იმუშავებს, მაგრამ კაპიკებისთვის ,საკუთარი ჯანმრთელობის ფასად მუშაობა შეურაცხმყოფელი და დამამცირებელია",* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის მსვლელობისას. უმუშევრობა და უპერსპექტივობა მოქალაქეებს იძულებულს ხდის დატოვონ ტყიბული და გადავიდნენ საცხოვრებლად სხვა ქალაქებში ან საზღვარგარეთ გაემგზავრონ.

დისკუსიების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტში მიგრაცია იმდენადა მაღალია, რომ სოფლები დაცარიელებულია და უახლოეს მეზობლებს შორის მანძილი პირობითად 1 კილომეტრზე მეტია. ქალაქში კი კორპუსები დაცარიელებულია . *,,კორპუსში, სადაც 65 ოჯახი უნდა ცხოვრობდეს სულ 10 ოჯახი თუ მოიძებნება. ჩემს სადარბაზოში მხოლოდ ორი ოჯახი ვცხოვრობთ, მე მეხუთეზე და ერთი პირველ სართულზე",* აღნიშნა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ.

3.3.ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა: მართალია ინფრასტრუქტურის მოწესრიგება პერიოდულად მიმდინარეობას, მაგრამ ამ კუთხით მაინც ბევრი გამოწვევაა ტყიბულის მუნიციპალიტეტში. დაუსრულებელი გზები, არა ადაპტირებული გარემო , გაუმართავი წყალმომარაგება ეს იმ გამოწვევების მცირედი ჩამონათვალია რაც ინფრასტრუქტურის კუთხით ტყიბულელებს აწუხებთ. არსებული ინფრასტრუქტურა არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის, მათ შორის პანდუსები არ არის საჯარო უწყებებშიც.

[2] ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წწ საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი. გვ 4.

გზის რეაბილიტაცია როგორც ქალაქში, ასევე სოფლებში მუდმივად მიმდინარეობს, თუმცა ჯერ კიდევ არის სოფლები სადაც გზები მოუწესრიგებელია და რთულია მისასვლელად. განახლებას საჭიროებს შიდა საუბნო გზები, როგორც ქალაქი ასევე სოფლების შემთხვევაში. არის გარეგანათების პრობლემა, განსაკუთრებით სოფლებში. სასმელი წყალი ქალაქს გრაფიკით მიეწოდება, სოფლებში კი მოსახლეობა უფრო ჭის ან წყაროს წყალს იყენებს, რომელიც გვალვის პერიოდში შრება. სოფლებში განვითარებას საჭიროებს სარწყავი/საირიგაციო სისტემა. მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია. კანალიზაციის სისტემა ქალაქში მოწესრიგებულია, სოფლებში კი ე.წ ორმოული სისტემა არსებობს ოჯახებში.

ნაგვის ურნები განთავსებულია ქალაქში და სოფლებშიც, თუმცა რესპოდენტების თქმით ნაგვის ურნების ნაკლებობა სოფლებში შესამჩნევია, ისევე როგორც არ ხდება სოფლებში დროულად ნაგვის გატანა. ხშირია, როცა მოსახლეობა ნაგავს არხებში ყრის რის გამოც ბინძურდება გარემო. ადგილზე არის ნაგავსაყრელიც, სადაც არ ხდება ნარჩენების გადამუშავება და აუცილებელია ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯების გადადგმა.

გამოწვევაა ღია კარიერები, რის გამოც ეკოლოგიური მდგომარეობა ტყიბულში როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, დღითიდღე უარესდება. მნიშვნელოვნად დასახელდა ეკოლოგიური ხასიათის პროგრამების განხორციელების აუცილებლობა.

სოფლებში მწირია ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, სასურსათო მაღაზიებზე. მოსახლეობას აუცილებელი პროდუქტისა და სურსათის შესაძენად ადმინისტრაციულ ცენტრში უწევს ჩამოსვლა, რაც არც თუ ისე მოსახერხებელია, განსაკუთრებით ზამთრის პირობებში. საბანკო მომსახურეობა სოფლებში ხორციელდება ლიბერთი ბანკის მიკროავტობუსით, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით.

მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელთა რიცხვი მუდმივად მზარდია და საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ფეხით გადაადგილებას. არ არსებობს მუნიციპალური თავშესაფარი ცხოველებისთვის.

მუნიციპალიტეტში წესრიგდება სკოლებისა და ბაღების ინფრასტრუქტურა, მაგრამ არის ისეთი ადგილებიც სადაც რეაბილიტაცია ჯერ არ დაწყებულა (ძირითადად ადმინისტრაციული ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში). სკოლებში მოსაწესრიგებელია გარე ინფრასტრუქტურა, მოედნები. განახლებას საჭიროებს ტექნიკის ნაწილი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ქალაქ ტყიბულში არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სადაც მგზავრობის ტარიფის სუბსიდირება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ. სოფლებიდან მოსახლეობა კერძო მიკროავტობუსებით გადაადგილდება, რომლებიც არ არის ყველა სოფლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი. ასევე, რთულია შიდა სასოფლო გადაადგილება. ტრანსპორტი არ არის მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

კომუნიკაციებზე ხელმისაწვდომობა: დისკუსიების მიმდინარეობისას, რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია ტელევიზია, თუმცა იგივე არ ითქმის ინტერნეტით უზრუნველყოფაზე. ინტერნეტ დაფარვა არ არის ყველგან, გარდა ამისა მოსახლეობას ძვირი უჯდება ინტერნეტის ყოველთვიური გადასახადი, მიწოდებული ინტერნეტის ხარისხიც მოსახლეობისთვის არადამაკმაყოფილებელია.

მერიის სიახლეების შესახებ ინფორმაცია სოფლის წარმომადგენლების, მერიის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელის დახმარებით ვრცელდება. არც ერთი საინფორმაციო მექანიზმი არ არის ადაპტირებული და მორგებული შშმ პირების საჭიროებებს.

3.4 განათლება, კულტურა და სამოქალაქო ჩართულობა: სკოლამდელი და სასკოლო განათლება ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის. უზრუნველყოფილია ასევე შშმ ბავშვთა განათლების ხელმისაწვდომობა. როგორც მონაწილეებმა აღნიშნეს, პანდემიის პერიოდში ინტერნეტთან ნაკლები ხელმისაწვდომობის გამო ყველა ბავშვი ვერ ერთვებოდა ონლაინ სასწავლო პროცესში, რაც გამოწვეული იყო როგორც ინტერნეტის, ასევე შესაბამისი ტექნიკის არ ქონის გამო. განსაკუთრებით ეს ეხება მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოზარდებს, ასევე მრავალშვილიან და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს.

სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების ნაწილი უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება დ მათ მაღალი აკადემიური მოსწრებაც აქვთ, თუმცა უკან ტყიბულში არ ბრუნდებიან, ვინაიდან ადგილზე რეალიზების შესაძლებლობას ვერ ხედავენ.

ქ. ტყიბულში მოქმედებს პროფესიული სასწავლებელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი, სადაც სტუდენტები ეუფლებიან სხვადასხვა ტექნიკური მიმართულებით პროფესიას. თუმცა, საჭიროა ადგილზე მოთხოვნადი პროფესიების დამატება, მაგ საკონდიტრო ან კულინარიის მიმართულება, ჭრა კერვა და სხვა. ასევე, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, რათა სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფალი დრო შინაარსიანად გაატარონ. რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს სოფლებში მცხოვრები შრომისუნარიანი მოქალაქეების და ახალგაზრდების მოკლევადიან პროფესიულ გადამზადებას.

გამოიკვეთა ზრდასრულთა განათლების ცენტრის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას მოკლევადიან გადამზადების კურსებს შესთავაზებდა, დამატებითი ბარიერების გარეშე (ტესტირება, მინიმუმ 9 კლასის დასრულების ატესტატი და სხვა). *„ მსგავსი ზრდასრულთა განათლების ცენტრის არსებობა აუცილებელია, რათა მაცხოვრებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეისწავლონ ის პროფესია, რომელიც შემდეგ შიძლება ადგილზე დასაქმებაში, ან საკუთარი საარსებო წყაროს შექმნაში გამოიყენონ",* აღინიშნა ფოკუს ჯგუფის დისკუსიისას.

ტყიბულში ფუნქციონირებს ხელოვნების სკოლა, სამუსიკო და სპორტული სკოლები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობის საკმაოდ დიდი ნაწილია ჩართული, თუმცა ძირითადად ქალაქში ან ქალაქთან ახლოს მდებარე სოფლებში მაცხოვრებლები. მრავალფეროვანი კულტურულ - საგანმანათლებლო და სპორტული წრეებში მონაწილეობა, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის არ არსებობის გამო თითქმის შეუძლებელია. სკოლებში გახსნილია ქართული ტრადიციული ცეკვის წრეები.

ტყიბულში ბიბლიოთეკები არსებობს, თუმცა არა ყველა სოფელში. ძირითადად ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურა და წიგნების საცავი მოძველებულია. პანდემიის დროს ბიბლიოთეკებთან წვდომა შეზღუდული იყო, არც ელექტრონული ბიბლიოთეკის სერვისი დანერგილა. სულ ადგილზე 19 ბიბლიოთეკაა.

ადგილზე არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ტყიბულში ფუნქციონირებს ადგილობრივი თეატრი, სადაც პანდემიამდე სხვადასხვა კულტურული აქტივობები მიმდინარეობდა. თუმცა თეატრის შენობა განახლებას საჭიროებს. ძირითადად სხვადასხვა სახის კულტურული აქტივობები სადღესასწაულო დღეებში ტარდება.

რესპოდენტების თქმით, სოფლებში ნაკლებადაა წარმოდგენილი მოწესრიგებული რეკრეაციული, მოსასვენებელი ან სპორტული მოედნები. ქალაქში არსებული საბავშვო მოედნებიც საჭიროებს განახლებას.

მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები : როგორც ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ტყიბულში მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმები დანერგილია, თუმცა მოქალაქეები აქტიურად არ იყენებენ მათ. ხშირად ამის მიზეზი მათი ნაკლები ინფორმირებულობა და ნიჰილისტური დამოკიდებულებაა. მოსახლეობა ნაკლებად აქტიურია სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებშიც, არ მონაწილეობენ დაგეგმვის პროცესში. რესპოდენტების თქმით, მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან წახალისებული ახალგაზრდები.

3.5 ძირითადი სერვისები და პროგრამები: ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების მიწოდებას მერიის სოციალური სამსახური და სოციალური მომსახურეობის სააგენტო ახორციელებენ. მერიის სოციალური პროგრამები ძირითადად ფულად გასაცემელს მოიცავს, თუმცა ცდილობენ გრძელვადიანი პროგრამების დანერგვასაც. სოციალური პროგრამების შემუშავება შემოსული განცხადებების ანალიზის საფუძველზე ხდება, ინფორმაციის მოსახლეობისთვის მიწოდებას კი ძირითადად მერის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ.

ჯანდაცვის პროგრამები და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობა: მუნიციპალიტეტში, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მედიკამენტების შეძენა და კვლევები, ასევე ქირურგიული ჩარევები ექიმის დანიშნულებით მერიის თანადაფინანსებით განახორციელონ. ადგილზე არის საავადმყოფო, თუმცა არ არის ხელმისაწვდომი ზოგიერთი ვიწრო სპეციალისტის მომსახურეობა, რომელიც ადგილზე აუცილებელია, მაგ ნევროლოგი, ტრავმატოლოგი, ფსიქოლოგი და სხვა.

სოფლებში ამბულატორიები არის, მაგრამ არის ექიმების კადრის ნაკლებობა, ასევე ამბულატორიები საჭიროებენ სხვადასხვა აპარატურით აღჭურვას. რესპოდენტებს მიაჩნიათ, რომ შექმნილი ეპიდემიური სიტუაციიდან გამომდინარე, სოფლის ამბულატორიების კომპეტენციები უნდა გაიზარდოს და ადგილზე მუდმივად უნდა იყოს სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციას გაუწევს მოსახლეობას.

სოციალური საკითხები და სერვისები : მუნიციპალიტეტში მერიის დაფინანსებით ფუნქციონირებს უფასო სასადილო, რომელიც მარტოხელა ხანდაზმულ და სოციალურად გაჭირვებულ მოსახლეობას ერთჯერადი სადილით უზრუნველყოფს. აღნიშნული სასადილოთი მხოლოდ ქალაქის მაცხოვრებლებს შეუძლიათ ისარგებლონ. სადილის შინ მიტანა ხანდაზმული ადამიანებისთვის პანდემიის შედეგად დაიწყო და დღემდე გრძელდება. დანერგილი აქვთ შინ მოვლის სერვისი, რომელიც სოფლებსაც ფარავს, თუმცა რესურსები მწირი აქვთ.

ტყიბულში ფუნქციონირებს სოციალური სამრეცხაო, თუმცა ის მხოლოდ ქალაქს ემსახურება. მუნიციპალიტეტს ესაჭიროება ხანდაზმულთა თავშესაფარი. ასევე, შშმ ბავშვთა დღის ცენტრი. ადგილზე

ვერ ხერხდება შშმ ბავშვებისთვის ვერანაირი სერვისის მიწოდება, ისევე როგორც არ არსებობს 18 წელს ზემოთ შშმ პირთა რეაბილიტაცია, რესოციალიზაციის ხელშემწყობი პროგრამები.

მერიის სოციალურ სამსახურთან შეიქმნა ბავშვთა უფლებების დაცვისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის განყოფილება, რომელსაც ჯერ არ აქვს დასრულებული ბავშვთა დაცვისა და კეთილდღეობის პროგრამების შემუშავების პროცესი.

ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხად გამოიკვეთა მოქალაქეთათვის სოციალურად დაუცველთა სტატუსის მინიჭება. რესპოდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ აუცილებლია ოჯახის შეფასებისას მეტი ობიექტურობით მოხდეს საჭიროებების გამოვლენა.

4. რეკომენდაციები:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

- სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია ადგილობრივ საჭიროებებზე და მოქალაქეთა ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტთან ერთად შემუშავდეს და დაინერგოს მოქალაქეთა ინფორმირებულობის ახალი ფორმები იმ პროგრამების შესახებ, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით ხორციელდება.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

- დაიწყოს მუშაობა სოციალურად დაუცველთა შეფასების სისტემის განახლებაზე, რათა ეს უკანასკნელი მაქსიმალურად ობიექტურად აფასებდეს მოქალაქის მოწყვლადობას და ადგენდეს საჭიროებებს;
- ხელი შეუწყოს სოფლის ამბულატორიების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და გახადოს იგი პანდემიიდან გამომდინარე არსებულ საჭიროებებზე მორგებული.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს

- სხვა მიზნობრივ სახელმწიფო უწყებებთან ერთად იმსჯელოს და ხელი შეუწყოს ტყიბულის ეკონომიკურ დივერსიფიკაციას;
- მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მცირე საგრანტო პროგრამების შემუშავება და ახალგაზრდების, ქალების ეკონომიკური წახალისება მიგრაციის შესამცირებლად;
- ხელი შეუწყოს ჩართულობის მექანიზმების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას. წაახალისოს ახალგაზრდების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინფორმირებულობის გაუმჯობესების მიზნით დაინერგოს კომუნიკაციის სხვადასხვა მექანიზმები. მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა შშმ პირებისთვის;
- მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტმა გადახედოს არსებულ პროგრამებს და გამონახოს გზები ერთჯერადი ფულადი გასაცემლები შეცვალოს მდგრადი, გრძელვადიანი სერვისების მიწოდებით. პროგრამები კი გახადოს უფრო მეტად მორგებული მოსახლეობის საჭიროებებს;
- მნიშვნელოვანია მაღალკვალიფიციური სერვისის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაინერგოს „აუთსორსინგის“ (სერვისის შესყიდვის) მექანიზმი.

5. საბიუჯეტო პროგრამა ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამის დასახელება	კოდი	*კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების მიზნობრივი დახმარების პროგრამა*	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	სხვა რესურსებიდან მიღებული დაფინანსება
			15 000	
პროგრამის განმხორციელებელი უწყება(სამსახური)	**სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური**			
წინაპირობა	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს (LDA Georgia) მიერ ტყიბულში ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დისკუსიებისას გამოვლინდა, რომ ადგილზე არიან მრავალშვილიანი ოჯახები, რომლებიც სოციალურად დაუცველ, მოწყვლად კატეგორიას წარმოადგენენ. მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები, დაუსაქმებლობა (ან სეზონური სამუშაო) ის გამოწვევებია რომელთანაც გამკლავება ყოველდღიურად უწევთ ამ ოჯახებს. ტყიბულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის საბიუჯეტო პროგრამების შესწავლისას ასევე ნათელი გახდა, რომ მუნიციპალიტეტს მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, მარტოხელა მშობლებისთვის შემუშავებული აქვს ყოველთვიური დახმარების პროგრამა, თუმცა ყოველთვიური გასაცემელი იმდენად მცირეა, რომ ვერ აგვარებს ოჯახის წინაშე მდგარი პრობლემების ძირეულ გადაჭრას.			
პროგრამის ბენეფიციარები	ტყიბულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 51 000) ოჯახები, სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლები და სოციალურად დაუცველი მარჩენალდაკარგული ოჯახები, სადაც ორი ან მეტი არასრულწლოვანია.			
პროგრამის აღწერა (მიზანი)	ტყიბულში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ან მარჩენალდაკარგული ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარება, რომლებიც გადაუდებლად საჭიროებენ სხვადასხვა სერვისის მიწოდებას. ოჯახის შეფასება მოხდება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური საკითხების დაცვის სამსახურის მიერ. მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის საფუძველზე მოხდება ოჯახის საჭიროების დადგენა. დასკვნა- რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება მუნიციპალიტეტში შექმნილ სამუშაო ჯგუფს.			

	მოქალაქის განცხადების/სხვა უწყების მომართვის საფუძველზე საქმის წარმოებას დაიწყებს მუნიციპალიტეტი. სამუშაო ჯგუფი შეიქმნება შემდეგი წარმომადგენლობით: ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; სოციალურ საკითხთა სამსახური; სოციალური მომსახურების სააგენტო; სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინიგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; განცხადების შესწავლა და დასკვნა-რეკომენდაციის მომზადება მოხდება არაუგვიანეს ხუთი (5) სამუშაო დღის განმავლობაში. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბება საჭიროებისამებრ. ოჯახს, დასკვნა-რეკომენდაციის საფუძველზე დახმარების სერვისს შესთავაზებს სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი სამსახურები. გადაუდებელი საჭიროების გამოკვეთის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ჩართულობა განისაზღვრება არამატერიალური დახმარების კუთხით, თითოეულ შემთხვევაზე არაუმეტეს, 1500 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა უნდა მოხმარდეს იმ საჭიროების მოგვარებას, რაც სამიზნე ოჯახის საჭიროებად გამოიკვეთა, გარდა ჯანდაცვის საკითხებისა.			
პროგრამის შედეგი	დაკმაყოფილებულია კრიზისულ სიტუაციაში მყოფი ოჯახების საჭიროებები.			
შესრულების ინდიკატორი განხორციელებული პროექტები	საწყისი მაჩვენებელი	2022 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი	2023 წლის მაჩვენებელი
	0	10 ოჯახი		
პროგრამის შესრულების მონიტორინგის განმხორციელებელი	სოციალურ საკითხთა დაცვის სამსახური/ შიდა აუდიტის სამსახური			
რისკები	ნაკლები მომართვიანობა			

6. დანართი: სადისკუსიო გეგმა/გზამკვლევი

საკვლევი საკითხი	ძირითადი კითხვები	შენიშვნა/კომენტარი ინტერვიუერისთვის
გაცნობითი/შესავალი ნაწილი	- მისალმება / წარდგენა / მონაწილეთა გაცნობა; - კვლევის მიზნების, ფორმატის და პრინციპების გაცნობა (კონფიდენციალობის კომონენენტი); - აუდიო ჩანაწერის განხორციელებაზე თანხმობის მოპოვება.	ამ ნაწილის მიზანია მონაწილეთა მომზადება და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.
ეკონომიკური განვითარება	1. რა გამოწვევებს ხედავთ თქვენს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების კუთხით? 2. სოფლის მეურნეობის თქვენთვის სასურველი დარგის განვითარებაში რა ხელშემშლელი გარემოებები არსებობს? 3. გაქვთ თუ არა თქვენს მიერ წარმოებული პროდუქციის ადგილზე რეალიზების შესაძლებლობა? 4. მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა ეკონომიკური განვითარების პროგრამებში? თუ არა რატომ?	თემის ზოგადი მდგომარეობის შეფასება და მწვავე პრობლემების იდენტიფიცირება.
ინფრასტრუქტურა და კეთილდღეობა	5. ინფასტრუქტურის კუთხით რა წარმოადგენს თქვენთვის ყველაზე დიდ გამოწვევას? 6. რამდენად ხელმისაწვდომია საზოგადოებრივი ტრანსპორტი? 7. არის თუ არა უზრუნველყოფილი თქვენს დასახლებებში შესაბამისი საკომუნიკაციო სისტემები?	აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინფრასტრუქტურაზე, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე, კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე.
სოციალურ-ეკონომიკური პროფილი	8. რამდენად მიგიწვდებათ ხელი პირველად ჯანდაცვასთან? რა პროგრამები ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის კუთხით? თუ არის ხელმისაწვდომი სოფლის ამბულატორია? ექიმის მომსახურეობა? 9. რას დაასახელებდით პირველად გამოწვევად ჯანდაცვის კუთხით თქვენს მუნიციპალიტეტში? 10. ეკოლოგიის კუთხით რა სახის პრობლემებს დაასახელებდით? და როგორია მათი ზეგავლენა გარემოზე? 11. რამდენად შეგიძლიათ დასაქმდეთ თქვენს მუნიციპალიტეტში? თუ არა რა ხელშემშლელ ფაქტორებს დაასახელებდით? 12. გაქვთ თუ არა რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები? რა გამოწვევებს აწყდებით ამ კუთხით?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.

	13. რა უწყობს ხელს თქვენს მუნიციპალიტეტში მიგრაციას? 14. რა გამოწვევებს ხედავთ დემოგრაფიული ცვლილებების კუთხით? რა სახის პროგრამები უნდა არსებობდეს დემოგრაფიული კეთილდღეობისთვის?	
განათლება, კულტურა და სოციალური ჩართულობა	15. რამდენად არის ხელმისაწვდომი თქვენს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი და სკოლის განათლება? სასკოლო ტრანსპორტი რამდენად არის ხელმისწვდომი? თუ არის საგანამანათლებლო ადწესებულებებში ინფრასტრუქტურა მოწესრიგებული? 116. კულტურული ცხოვრება რამდენად ხელმისაწვომია? 17. თუ იცნობთ მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ჩართულობის რომელიმე მექანიზმს? როგორ ფიქრობთ რა უნდა გაუმჯობესდეს მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ?	განხილული იქნება შემდეგი ქვეთემები:კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები, კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური/კულტურული გარემო;სპორტული და რეკრეაციული ღონისძიებები; სამოქალაქო ჩართულობა; თანასწორობა.
ძირითადი სერვისები და პროგრამები	18. რომელ სერვისებზე მიგიწვდებათ ხელი? რომელი სერვისების ნაკლებობაა თქვენი აზრით თქვენს მუნიციპალიტეტში? 19. რისი გაუმჯობესებაა საჭირო უკვე არსებული სერვისების უკეთ ფუნქციონირებისათვის?	ყურადღების გამახველება პრგრამების შესახებ არსებულ ინფორმაციასა და კრიტერიუმებზე; ხელმისაწვდომობის დადგენა.
Covid-19-ის შემდგომ წარმოქმნილი გამოწვევები	20. რა არის ის ძირითადი გამოწვევები, რომლის წინაშეც დადექით კოვიდის შედეგად? 21. კოვიდ პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად რა პროგრამები და აქტივობები განხორციელდა თქვენს მუნიციპალიტეტში? 22. რა უნდა გაკეთდეს თქვენს მუნიციპალიტეტში კოვიდ პანდემიით გამოწვეული პრობლემების შესამსუბუქებლად?	ყურადღების გამახვილება იმ საკითხებზე და გამოწვევებზე, რაც პანდემიის შემდგომ გამოიკვეთა.
რეკომენდაციები / მოსაზრებები გაუმჯობესებისთვის	23.რა უნდა გაკეთდეს თემში არსებული სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად? 24.რა ტიპის რესურსების მობილიზებაა საჭირო? ვის მიერ?	მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას მაქსიმალურად კონკრეტული და დეტალური ინფორმაცია ამ საკითხებზე.